ოთხშაბათი, 28 მარტი 1907 წ. | წელიწადი პირველი — № 68

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილების დასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

ელენე სვიმონის ასული და ალექსანდრე თეიმურაზის ძე გაბუნიები
გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას
პირველი საყვარელ ქმრის, მეორე—მამის
**თეიმურაზ მიხეილის ძის გაბუნიასას.**
გამოსვენება და დაკრძალვა ხუთშაბათს, 29 მარტს, ქ. სოხუმში. (2—1)

იმერეთის ეპარქიის სიმონეთის ოლქის კეთილ-მოწესე დეკანოზი
**ლუკა თევდორეს ძე ჭიპაშვილი**
ამა წლის 25 მარტს ქალ. ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მისი ქრისტეფლები და სთხოვენ მიცვალებულის დაკრძალვას, რომელიც დანიშნულია 30 მარტისთვის სოფ. საქარაში, დაესწრონ. (2—12—2)

**ხერხის ზავოდი**
**გ. ი. სერებრიაკოვისა**
**სამტრედიის ახლოს**
იყიდება დახერხილი ნაძვის მასალა, დიდ-ძალი საქონელი, ყოველნაირ ზომისა
**ფასები დაკლებულია**
(10—586—5)

**სამკურნალო**
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**განჯის დიდი ქუჩა, № 5. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.
**რუდენკო**— შინაგანი სნეულობანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.
**ჩუდნოვსკი**—ქირურგ. სნეულ. ორშაბ. და პარასკეობით 2—3 ს.
**იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხ., პარასკ. და სამშ. 2—3 ს.
**ვნუკოვი**—ქირურ. ორშაბ., ხუთშ., შაბათს და კვირას 2—3 ს.
**როზმაინსკი**—საბავშვო, ყოველდღე, შაბათისა და კვირის გარდა 4—5 ს.
**ასპისოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.
**კუშევი**. ნერვ. სამშ., ოთხშ. და შაბ. 12—1 საათზედ.
**ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველდღე, კვირას გარდა 1—2 ს.
**გორალევიჩი**. შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
**ნეუიმინი**—თვალისა, ორშაბ., ოთხ. პარას. 12—1 საათზე.
**ინაევი**. ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.
**თეთრაძე**—კანისა და ვენერ. ყოველდღე 1—2 საათზე.
**ბოყოვსკი** — შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.
**მონზე**—ბავშვებისა, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 საათზე.
**იოსელიანი**: — ქალ. ორშ., ოთხ.. პარ. და კვირ. 12—2 ს.
**გორობცოვა**.—მასაჟი, ყოველ დღე 11—1 ს.
**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს.
**პივარსკი**, **ჩუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—5.—69)

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—69)

ექიმი
**ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—16)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**განაზა და ვენერიული**. დილით 9—10 ს.. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—77)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (31)

კბილის ექიმი
**ი. ზ. კანდელაკი**
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბულაძისა, № 26. (25—6.—14)

**ქუთ. სასოფლო-სამეურნეო ამხ.**
**„კოლხიდა“**
აწვდის სოფლის მეურნეთგან **შემოწმებულ აბრეშუმის თესლს**, ცნობილ ფირმებისას; უცხოეთიდან გამოწერილ ბოსტნისა და ბალახების თესლეულობას. (**იონჯა, კოინდარი**), ხეხილების და ყვავილების ნერგებს. იქვე მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ სხვა და სხვა სამეურნეო იარაღი—მეაბრეშუმეობისა, მ ფუტკრეობისა, მეღვინეობისა და სხვა. 15 მარტიდან კვირა-პარასკევობით ამხანაგობა გამართავს საუბარს სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხზე. (30—6.—14)

**ქართველ** ახალგაზრდა მწერალთა, მთარგმნელთა, წიგნების გამომცემელთა და მესტამბეთა საყურადღებოდ. ვკისრულობ ხელთ-ნაწერების შესწორებას, კორექტურას და გამოცემათა ხელ-მძღვანელობას, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

**ადრესი**: ტფილისი, თხინვალის ქუჩა, სახლი ტოროშელიძისა, № 12. **პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათიდან 10 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.**
(30—უ.—6) ია ეკალაძე-ცინცაძე.

## სამუელ ნაკაიძეს

გაზეთ „ისარი“-ს მე სამოცდა ექვსე ნომერში თქვენ თანხმობას აცხადებთ ჩემთან სამედიატორო სამართალში გამოსვლაზე, რისთვისაც გმადლობთ. ვერ გამიგია მხოლოდ ერთი რამ: რისთვის დანიშნეთ მედიატორითა სხდომისათვის **მხოლოდ ათი აპრილი**. როგორც გამიგონია, სხდომის დროც და ადგილის დანიშვნა სავსებით მედიატორების საქმეა და ვშიშობ ამით თქვენ საქმის ჩაშლა არ გსურდეთ. იმედია ახლო მომავალში დამიმტკიცებთ ჩემი ეჭვების უსაფუძვლობას.
(1—14—1) **მელქისედეკ მახარაძე.**

**თეატრი „რენესანსი“**
(მიხაილოვის ქუჩა)
ორშაბათს, 2 აპრილს, 1907 წ.
ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:
**უბედური ნაბიჭი**
დრამა სამ მოქ. თარგ. შ. დადიანისა.
საღამოს ერთი ცხვირი ხეირია
კომ. 1 მოქ. სუნდუკიანცისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
**დასაწყისი საღამოს 7½ საათზედ.**
ადგილების ფასი 2 მ. 50 კ.-დან 50 კაპ.
(3—უ.—1) გამგე **გ. ანაშვილი.**

**საარტისტო საზოგადოების**
საკონცერტო დარბაზში, კვირას, 1-ლ აპრილს, გაიმართება
**სასულიერო კონცერტი,**
რომლის შემოსავალი გადაიდება საქართველოს ეპარქიის სასულიერო წოდების ღარიბ, ქვრივ და ობლების სამზრუნველოს საშუალებათა გასაძლიერებლად. კონცერტში მონაწილეობენ გუნდები: ეგზარხოსისა, ნამესტნიკის კონვოისა და სიონის ტაძრისა. კონცერტი დაიწყება საღამოს 8 საათზე.
ბილეთები ისყიდება: სინოდის კანტორაში სამზრუნველოს მდივნის ა. დავიდოვისაგან და ეგზარხის კანცელარიის მმართველის დ. სოკოლოვისაგან, ანჩისხატის ქ. № 1, დილის 9—2 საათამდე. ალექს.-ნეველის ეკკლესიაში (9—2 საათ. და საღამოს 4—6), მღ. ალ. სიმონოვისაგან, ერეკლეს ქ. № 6, დილის 8 საღამოს 8 საათამდე და 31 მარტიდან თეატრის კასსაში.
**ფასები ხელმისაწვდომია.** (უ. 3—1)

ამით ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ **ნაძალადევში** ბ-ნ კაზანსკის სახლებში (მაგისტრალნი და ბრიგადირნი ქუჩების კუთხე) **ამა წლის ორი აპრილიდან გაიხსნება**
**აფთიაქის მაღაზია**
(4—7—3) ილია ზ. დეკანოზოვი.

**ტფილისის საქალაქო**
**გ ა მ გ ე ო ბ ა**
აცნობებს ყველა იმ სახლის პატრონთ, რომელთაც საარჩევნო ცენზი აქვთ ხმოსნების არჩევნებში, რომ 1907 წლის 1-ლ იანვრამდე მათზე დარჩენილ გადასახადის დასაფასებელ გადასახადის ნედოიმკების გასტუმრება შეიძლება: პირველ საარჩევნო რაიონისათვის, რომელშიაც შედიან 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 საპოლიციო უბნები, 12 მომავალ აპრილამდე, ნაშუადღევის 2 საათამდე; მეორე რაიონისათვის, რომელშიაც შედიან მე-5, მე-6 და მე-7 საპოლიციო უბნები, 19 მომავალ აპრილამდე, ნაშუადღევის 2 საათამდე; მესამე რაიონისათვის, რომელშიაც შედიან მე-8, მე-9 და მე-10 საპოლიციო უბნები, 26 აპრილამდე, ნაშუადღევის 2 საათამდე. ატყობინებს-რა ამ ვადებს, საქალაქო გამგეობა აფრთხილებს იმ სახლის პატრონთ, რომელნიც აფასებენ თავიანთ საარჩევნო უფლებას, რომ თუ დანიშნულ დრომდე არ გაისტუმრებენ ნედოიმკებს, ისინი ამორიცხულ იქნებიან საარჩევნო სიებიდან; ეს სიები გამოცხადებულ იქნება 1907 წ. 13, 20 და 27 აპრილს. (3—6.—1)

**განცხადება**

ტფილისის ქალაქის გამგეობა, აუქმებს-რა განცხადებას 27 მარტს მედროგეთა სტაროსტის და მის კანდიდატის არჩევის შესახებ, ჰნიშნავს ამ არჩევნებს ამა წლის 1-ლ აპრილისათვის, კვირას, შუადღის 12 საათზე. ამიტომ სთხოვს დროგების ყველა პატრონთ მობრძანდნენ 1-ლ აპრილს დანიშნულ დროზე საქალაქო საბჭოს დარბაზში თავიანთ ბლიახებით და მედროგეთა შესახებ სავალდებულო დადგენილებათა წიგნაკებით აღნიშნულ არჩევნების მოსახდენად. (1—6.—1)



**უყურადღებობა**, რომლითაც ეპყრობიან ჩვეულებრივად „გაციებასა“ და „სურდოს“, სრულებით არვარგა. არის ბევრი ადამიანი, რომელთაც სურდო ხშირად კატარრად ექცევათ და თუ დროზე არ უშველეს თავს, მძიმე სენით გახდებიან ავად. ამიტომ სურდო, თუნდაც მსუბუქი იყოს, დაუყონებლივ წამლობას მოითხოვს. ამ საშუალებად მეტად გამოსადეგია **სურდოს წინააღმდეგი ბამბა „ფორმანი“**, რომელიც ექიმებისაგან საუკეთესო საშვალებათ არის აღიარებული. ფორმანს საზღვარგარედ ეს სამი წელიწადია ხმარობენ და ძალიან ემადლიერებიან, ყოველს წელიწადს მრავალ მილიონ კოლოფს ასაღებენ. ფორმანს ყოველ აფთიაქში და სააფთიაქო მაღაზიაში ჰყიდიან პატარ-პატარა ჯიბის კოლოფებში, 25 კაპ. თითო.
(2—№ 4—1) (Метцель и К° 22085)

## ტფილისი, 28 მარტი.

მიწის საქმე სათათბიროში უკვე საკმაოდ გამწვავებულია. ამ რთულ საკითხის ღერძზე მრავალი პოლიტიკურის და სოციალურის შინაარსის მიმართულება ტრიალებს. მიწის საქმე, როგორც ნამდვილი ფოკუსი რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობისა, ის საგანია, სადაც ერთად იყრიან თავს ყველა მიმართულების ძაფები და აქ შეუპოვრად ებრძვიან ერთმანეთს ისტორიის ჩარხის გადასახრელად თავისკენ.

ჯერ მხოლოდ აზრების წინასწარი გაზიარება სწარმოებს სათათბიროში, ჯერ ეს წინასწარი აზრთა გაზიარებაც არ დასრულებულა, მაგრამ მაინც პარტიულ ჯგუფების დამოკიდებულება თვალსაჩინოდ გამწვავებულია და მომავალში კიდევ ამაზე მეტად გამწვავდება.

როგორც ვიცით, განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთის ისტორიის წინაშე ორი ძირითადი პოლიტიკური საკითხი დააყენა: დამყარება ჭეშმარიტის სახალხო წარმომადგენლობისა და დეცენტრალიზაცია მართვა-გამგეობისა. ორთავე იდეალის მომხრეებს და მაშასადამე განმათავისუფლებელ მოძრაობის მთელს ლაშქარს ერთი მოპირდაპირე ჰყავს—რუსეთის ცენტრალისტური ბიუროკრატია. ამიტომ სათათბიროში ხალხის წარმომადგენლები ძველი პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ ილაშქრებენ, მთელი ოპოზიცია პრინციპიალურად ერთს ნიადაგზე სდგას; იმისი დანაწილება კი სხვა და სხვა ფრაქციებად სოციალურ მსოფლ-მხედველობის მიხედვით ჰხდება. პირიქით, როცა ხალხის წარმომადგენლები შემოქმედებითი ხასიათის საგანზე გადადიან, მაშინ ცენტრალიზაციის და დეცენტრალიზაციის მომხრენი ერთიერთმანეთს სცილდებიან. ცენტრალისტების მომხრეთა აზრით ცენტრალურმა პარლამენტმა უნდა გადასწყვიტოს ყველა ძირითადი საკითხი, რომელიც ახალს საძირკველს ჩაუგდებს მთელ რუსეთის ხალხის ცხოვრებას; დეცენტრალისტების შეხედულებით კი ეს ძირითადი საკითხები ადგილობრივ უნდა იქმნან გადაწყვეტილი ადგილობრივი სეიმებისაგან.

ამ გვარად განმათავისუფლებელ მოძრაობის ლაშქარი ერთის მხრივ სოციალურ მსოფლ-მხედველობის მიხედვით განიყოფება სხვა და სხვა ჯგუფებად და მეორის მხრივ ცენტრალიზაციის და დეცენტრალიზაციის პრინციპების მიხედვით. ეს ორმაგი დანაწილება სახელმწიფო სათათბიროში პირველად აგრარულ საკითხის ნიადაგზე გამოჩნდა. პოლონელების ჯგუფმა, რომელშიაც ორმოცამდე დეპუტატი ირიცხება, განაცხადა, აგრარული საკითხი პოლონეთისათვის თვით პოლონეთის სეიმმა უნდა გადასწყვიტოსო. ამ განცხადებით პოლონელების ჯგუფმა სათათბიროს მუშაობაში სრულიად ახალი ნაკადული შეიტანეს, რომელიც იქ დღემდე სრულიად არა სჩანდა.

აგრარული საკითხი რომ მთელი რუსეთისათვის ერთნაირად ვერ იქნება გადაწყვეტილი, ეს პოლონელ დეპუტატების გარდა კიდევ ბევრ სხვა პარტიის დეპუტატებსაც სწამთ. მიწის საქმის გადასაწყვეტად რომ ადგილობრივი ურთიერთობის შესწავლაა საჭირო ადგილობრივ კომიტეტებისაგან—ესეც ბევრს არა პოლონელს დეპუტატს მიაჩნია აუცილებელ ჭეშმარიტებად. მაგრამ თუ ამისდა მიუხედავად პოლონეთის დეპუტატები აცხადებენ, პოლონეთისათვის აგრარული საკითხი თვით პოლონეთის სეიმმა უნდა გადასწყვიტოსო, ეს იმას ჰნიშნავს, რომ ჯერ-ჯერობით საკმაოდ გამორკვეული არ არის, რა როლს აკუთვნიან ამ ადგილობრივ კომიტეტებს არა პოლონელი დეპუტატები. გარდა ამისა, როგორც ვიცით, პოლონეთის დეპუტატები პოლონელ გლეხთა ინტერესების გამომხატავი კი არა, უფრო პოლონელ მემამულეთა ინტერესების წარმომადგენელნი არიან. ამიტომ იმათ განცხადებას ის აზრი აქვს ჩაქსოვილი, რომ მათთვის თავის კლასსიურ ინტერესების დაცვა პოლონეთის სეიმში უფრო ადვილი იქნება, ვიდრე რუსეთის პარლამენტში. ეს აზრი, რა თქმა უნდა, ფარულად მოქმედობს, იმას პოლონელი დეპუტატები არ ამჟღავნებდნენ და სამაგიეროდ პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის პრინციპს უსვავენ ხაზს წითელის კარანდაშით. თავის თავად პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას ძვირფასი ღირებულება აქვს, მაგრამ ეს ღირებულება იმაზე შორს ვერ წავა, რომ უზრუნველ-ყოფილ იქმნას კანონმდებლობის მიმართულება ადგილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობის უფლებრივ შეგნების ხაზზე. უმრავლესობა კი, როგორც ყველგან, პოლონეთშიაც მშრომელი ხალხია. ამიტომ, თუ ადგილობრივ კომიტეტებს ჯეროვანი ხმა მიეცა აგრარულ საკითხის გადაწყვეტაში, მაშინ პოლონელ-დეპუტატების განზრახვას პროგრესიული ელფერი სრულიად დაეკარგება და მხოლოდ პოლონელ მემამულეების კლასსიურ ინტერესების გამოხატულება იქნება.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**სათათბიროს სხდომა.** 26 მარტს სხდომა დაიწყო 11 საათსა და 12 წუთზე, გოლოვინის თავმჯდომარეობით.

შინგარევმა კადეტების სახელით მოითხოვა, რომ შესწყვიტონ კამათი აგრარულ საკითხზე.

ს.-დემოკრ. და ს.-რევოლიუციონერები წინააღმდეგნი გახდნენ, რადგან ამ საკითხის ყოველ მხრივ განხილვა მეტად საჭიროაო. ბობრინსკიმ კადეტებს დაუჭირა მხარი. კარავაევმა შრომის ჯგუფის სახელით წინააღმდეგობა შეიტანა კამათის შეწყვეტის შესახებ და მოითხოვა აგრარულ საკითხს კვირაში ორი დღე შესწირონ. შინგარევმა განაცხადა, გლე-

ხები სიტყვებს კი არ მოელიან, არამედ კანონს მიწის შესახებ.

სათათბირომ უარ-ჰყო წინადადება, რომ ორატორების სიტყვები ხუთი წუთით შეზღუდონ.

აგრარულ საკითხის გამო კამათის გათავების შემდეგ უარ-ჰყვეს წინადადება სათათბიროს საზოგადო სხდომების დღეების შემცირების შესახებ. აგრარულ საკითხისთვის ორშაბათის გარდა დანიშნეს ხუთშაბათიც. შემდეგ სათათბირო მიწის შესახებ კამათს შეუდგა.

არხანგელსკი (ს.-რევოლიუციონერი) კრიტიკულად შეეხო პარტიებ-ს კანონ-პროექტებს და მთავრობის კანონმდებლობას და ახსნა ს.-რევოლიუციონერების აზრი აგრარულ საკითხის შესახებ.

ვოლკ-კარაჩევსკიმ (ვოლკ-კარაჩევსკი წინად ს.-რევოლ. იყო და მერე სახალხო-სოციალისტების ფრაქციაში გადავიდა) განაცხადა, რომ სახალხო სოციალისტები უერთდებიან შრომის ჯგუფის კანონ-პროექტს. რადგან ჯერ-ჯერობით შეუძლებელია აგრარულ კანონის შედგენა, სახალხო-სოციალისტურ ფრაქციას შემოაქვს დროებითი კანონ-პროექტი მიწის შესახებ.

საველიევის აზრით, ლოზუნგი: „მთელი მიწა მთელ ხალხსა“-ო, განუხორციელებელი ოცნებაა.

შჩეპკინმა სახალხო სოციალისტებს მხარი დაუჭირა დროებით კანონის შექმნის შესახებ აგრარულ ურთი-ერთობის მოსაწესრიგებლად ამ გადამავალ ხანაში.

შირსკიმ ს.-რევოლიუციონერების სახელით განაცხადა, რომ თავი და თავი საქმე ადგილობრივ კომიტეტების დაარსებააო. ამავე აზრისანი არიან სახალხო-სოციალისტები. შირსკიმ ილაპარაკა მემარჯვენის სვიატოპოლკ-მირსკის სიტყვისა გამო.

მელნიკმა პასუხი გასცა პოლონელთა კოლოს და აღნიშნა, რომ ჩრდილო-დასავლეთის ერთ-ერთ გუბერნიაში, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ, პოლონელი 70,000 მდეა, ხოლო რუსი 2,000000 პოლონელებს მიწა 3 მილიონ დესეტინაზე მეტი აქვთ, რუსებს კი 2 მილიონი. რა ნაირად უნდა გადასწყვიტოს აგრარული საკითხი არ არსებულმა პოლონეთის სეიმმა, ამას ნათლად გვისურათებს ისტორიის მაგალითებიო. ორატორმა აღნიშნა ის, თუ როგორ ავიწროვებდნენ პოლონელი მემამულენი რუს-გლეხებს. პოლონელების საჩივარი ადმინისტრაციაზე უსაფუძლოა, რადგან ადმინისტრაცია სრულებით პოლონელების გავლენის ქვეშ იმყოფებაო.

2 საათსა და 1 წუთზე სხდომა შესწყდა.

სხდომა განახლდა 3 საათსა და 5 წუთზე. მინისტრების ლოჟაში იყვნენ: სტოლიპინი, იუსტიციის, საერთო განათლების და მიწის მოქმედების მინისტრები.

ზახარჩუკმა ვრცლად დაასურათა მიწის მუშათა და მემამულეთა ისტორია.

ფომიჩევი აგრარულ საკითხში ს.-დემოკრატების აზრს მიემხრო.

უსპენსკიმ კრიტიკულად განიხილა აგრარული კანონ-პროექტები, გამოცემული მე-87 მუხლის ძალით, და სთქვა, რომ სათათბირო მოვალეა აღძრას საკითხი ამ კანონის გაუქმების შესახებაო.

სადათელიანმა სთქვა, რომ განაპირა ქვეყნებში და განსაკუთრებით ამიერ-კავკასიაში აგრარულ საკითხს ძლიერ გულდადებით უნდა გარჩევაო. მოიყვანა სპარსეთის კანონების ნორმა (დარბაზი დაცალიერდა, მინისტრები წავიდნენ).

შულგინმა განაცხადა, რომ მემარჯვენეები და ზომიერები თავიანთ აზრს აგრარულ საკითხის შესახებ აგრარულ კომისიაში გამოსთქვამენო. ჯერ-ჯეროზით კი საკითხის არსებითი მხარე კრიტიკულად უნდა განვიხილოთო. იმან დაიწუნა შრომის ჯგუფის პროექტი. ეს პროექტი ცივილიზაციას და კულტურას საფლავისკენ ეზიდებაო. ჟორესი და ბებელიც არ შეიტანდნენ ასეთ გულუბრყვილო პროექტს. ეს პროექტი ისევ უკან უნდა დაუბრუნდეს მის ავტორსაო. ბოლოს ორატორმა მემარჯვენეთა პარტიის კანონ-პროექტი წაიკითხა, რომელიც სიტყვა სიტყვით განმეორებაა შრომის ჯგუფის კანონ-პროექტისა, მხოლოდ მიწის ძალით ჩამორთმევის მაგიერ ნახმარია სიტყვები და ფრაზები: „ძალით ჩამორთმევა და თანასწორად სარგებლობა კაპიტალით, ქკუით, ენერგიით“ და სხ. (ამ სიტყვებმა გამოიწვია ღიმილი მემარცხენეთა. ეს ღიმილი ძლიერ მოძრაობად და გულის წყრომად გადაიქცა. მემარჯვენეები კი ორატორს უწონებდნენ. როცა შულგინმა გაათავა, მემარცხენეებმა და ცენტრმა სტვენა ასტეხეს. მემარჯვენეებმა კი ტაში დაუკრეს).

კრუპენსკიმ კამათი დაიწყო საკუთრების ხელ-შეუხებლობის შესახებ. ორატორმა მაგალითად ბატონ-ყმობის დრო მოიყვანა. აკი მაშინაც გლეხები ბატონების ხელ-შეუხებელ საკუთრებად ითვლებოდნენ, მაგრამ ბატონ-ყმობა გადავარდა და ახლა ასეთ ხელშეუხებლობაზე ლაპარაკიც მეტიაო.

კონსტანტინოვმა (მშვიდობიან. განახლების პარტ.) შულგინის საქციელი ძლიერ გაჰკიცხა: შეიძლება კაცი არ დაეთანხმოს მემარცხენეთა თეორიას, ისინი შეიძლება სცდებოდნენ, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მათ თეორიას საფუძვლად უძევს მხოლოდ გულწრფელი სიყვარული მამულისადმი. ასეთი საქციელი სწორედ, რომ სათათბიროს აბუჩად აგდებაა. ჩვენ ზიზღით უნდა შევხედოთ შულგინის მიერ გამოთქმულ სიტყვებს. (ძლიერი ტაში ცენტრსა და მარცხნივ). კონსტანტინოვის აზრით მიწა უნდა გადაეცეს ხალხს საკუთრებად.

5 საათსა და 55 წუთზე კამათი გათავდა. წაიკითხეს დეპუტატების მიერ შეტანილი სხვა და სხვა განცხადებანი. ზოგიერთ წევრების მიერ შეტანილი წინადადება, რომ პოლიტიკურ მკვლელობას ზიზღი გამოეცხადოსო, სხვა დროისთვის გადასდეს. 6 საათსა და 2 წუთზე სხდომა დაიხურა. შემდეგი სხდომა 27 მარტს მოხდება.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სათათბიროს თავმჯდომარეს შეატყობინა, რომ კანონის ძალით სათათბიროს კომისიაში არა დეპუტატ სპეციალისტების მოწვევა შეუძლებელია. მაცნობეთ, რა ზომები მიიღეთ იმის თავიდან ასაცილებლად, რომ სათათბიროს კომისიებს სხდომებს გარეშე პირები აღარ დაესწრონო.

კიევის უნივერსიტეტის პროფესორად ნამყოფი პიხნო დანიშნეს სახ. საბჭოს წევრად.

## ახალი ამბავი

✦ **დაქერენ დეპუტატად ნამყოფებს.** სატახტო ქალაქის გაზეთებში ვკ თხულობთ: „პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა ბრძანება გასცა, მოსძებნონ სამართალში მიცემული პირველ სათათბიროს წევრნი: მიხაილიჩენკო, ულიანოვი, საერობო ექიმი კორნილიევი, კუზნეცოვი, მატვეევი, ვიროვოვი, ექიმი პოჩატუროვი, რამიშვილი, აზნაური ჟორდანია, ფილოსოფიის დოქტორი ლევინი, პეტრუსიანცი და სედელნიკოვი. ამათი ქონება უნდა გადაეცეს სააპეკუნო მმართველობას“.

✦ **სროლა ჭიათურაში.** გუშინ უკვე ვწერდით ჭიათურაში ატეხილ სროლის შესახებ. ეხლა კიდევ შემდეგს გვატყობინებენ: „24 მარტს, როცა ბოქაული მახარაძე სადგურისაკენ მიდიოდა, საავადმყოფოს მხრიდან გავარდა რამდენჯერმე თოფი. მახარაძის მხლებელმა სტრაჟნიკებმა მაშინვე დაიწყეს სროლა, რომელიც ათ წუთამდის გაგრძელდა. ისროდნენ ყოველ მხრისაკენ და, რაღა საკვირველია, ტყვია ბრალიანსა და უბრალოს არ არჩევდა. სამუშაოდ მრავლად გამოსული ხალხი შეშინდა. ყველა სცდილობდა, უეჭველ სიკვდილს გადარჩენოდა. შეიქნა არეულობა, ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობდა, ვინ სად გარბოდა და ვინ სად; უპატრონოდ დარჩენილი ცხენები და ურმე'ი უპატრონოდვე გარბოდნენ აქეთ-იქით. პატარა ხანს უკან სროლა შესწყდა, ხალხი გონს მოვიდა და აღმოჩნდა, რომ ორი მუშა მძიმედ დაჭრილიყო. ორივე საავადმყოფოში წაიყვანეს და ჭრილობა შეუხვიეს. ვინ იყო ან რა უნდოდათ იმ პირთ, რომელთაც სროლა დაიწყეს, დანამდვილებით არავინ იცის, და თუ მართალია ის ხმები, რომ მსროლელებს მახარაძის მოკვლა სწადდა და ამისათვის არ დაინდეს ხალხი ათიათასობით შეკრებილი ამ ჟამად ჭიათურაში, მათი საქციელი საქებური არ არის მით უმეტესად თვით მსროლელებს ისეთი ადგილი აურჩევიათ, რომ თითონ ყოველთვის შეეძლოთ გაქცევა და ჭიათურაში მყოფნი კი განსაცდელში უნდა ჩავარდნილიყვნენ და კიდევაც ჩავარდნენ. როგორც გავიგეთ, სვერელებს დაუსახელებიათ რამდენიმე კაცი, რომელთაც ვითომ მონაწილეობა მიუღიათ წერეთლის მკვლელობაში“.

✦ **გაფიცვა მწვავდება.** როგორც ბაქოდან გვატყობინებენ, გაფიცვა თანდათან მწვავდება იმის გამო, რომ გემების პატრონები არასფერს არ უთმობენ გაფიცულებს. უმაღლესს მთავრობის განკარგულებით პეტერბურგიდან წამოსულა ჟანდარმთა კორპუსის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ბარონი ტაუბე, რომელიც ნამესტნიკის თანაშემწის ბ-ნ მიცკევიჩთან ერთად შეუდგება ბაქოში გაფიცვის მიზეზთა გამორკვევას და ზომების მიღებას გაფიცვის ჩასანელებლად.

✦ **პოლიტიკური საქმეები.** დღეს, 28 მარტს, ტფ. სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე იოსებ მაისურაძისა, არშაკ კრიკოროვისა და მიხეილ ნაბახტიანცისა, რომელთაც ჰბრალდებათ მთავრობის საწინაამდეგო პროკლამაციების გავრცელება. ასეთისავე ბრალდების გამო პასუხის გებაში მიცემულ ხაჯიბაშოვის საქმეს პალატა განიხილავს ხვალ, 29 მარტს.

✦ **უადგილოდ დარჩენილთა მოთხოვნილებანი.** უკვე აღვნიშნეთ, რომ ქალაქის გამგეობამ მიიწვია 15 უადგილოდ დარჩენილი ინტელიგენტი, რომელთაც უნდა ემუშავნათ ს[illegible] სიების შესადგენად. მუშაობის დაწყებისათანავე მიწვეულთ მოთხოვნილება წარუდგინეს [illegible] მოხელეს და ვანუცხადეს, საათში 50 კაპ. უნდა გვაძლიოთ— [illegible] არ დააკმაყოფილა, მომუშავენი დაიშალნენ.

✦ **თავდასხმა.** 25 მარტს, დილის 11 საათზედ, სამი უცნობი შეიარაღებული კაცი ეტლით მისულა პოლიციის პირველ უბანში გენერლის ქვრივის ანა ყორღანოვის სახლში. უცნობები ასულან ქვრივის ბინაზე, რევოლვერები დაუმიზნებიათ და მოუთხოვნიათ ფული. ატეხილა წივილ-კივილი. უცნობებს მხოლოდ 12 ვერცხლის კოვზის წაღება მოუსწრიათ, ჩამსხდარან ეტლში და გადამალულან. პოლიციას უპოვნია მეეტლე და დაუპატიმრებია. უპოვნიათ აგრეთვე ერთი თავდამსხმელი. იგი აღმოჩნდა ყარსის ოლქის მცხოვრები ხოსრო ბაბაევი. იგი უკვე გამოტეხილა და ამხანაგებიც დაუსახელებია.

✦ **ბოქაულის საქმე.** შარშან სახ. სათათბიროში ტფ. გუბერნიის დეპუტატები შეეკითხნენ სამინისტროს გორის მაზრის ხიდისთავის ბოქაულის კაროლჩუკის მოქმედების შესახებ. ამ ბოქაულმა უმიზეზოდ დააპატიმრა ქვრივიშვილი და გასტანჯა. ამ შეკითხვის შემდეგ კაროლჩუკის შესახებ გამოძიება მოუხდენიათ და ბოქაული პასუხის გებაში მიუციათ. ბოქაულის საქმე ტფ. სასამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია 3 აპრილისათვის.

✦ **ტფილისის ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭომ განიხილა საერთო განცხადება იმ მოიჯარადრეებისა, რომელთაც ქალაქის მიწა აქვთ აღებული კუჩენბახის ქარხნის მახლობლად. თხოულობდნენ ფასის დაკლებას. საბჭომ დაადგინა, საიჯარო მიწები გაყოს ორ ნაწილად: ერთი ნაწილი უნდა გაიცეს 15 კ. საჟენი, მეორე—10 კაპ. დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა ნამესტნიკის საბჭოს წინადადებას—ქალაქმა ხარფუხის გზამდე ქუჩა გაიყვანა სოლოლაკის ქვეშ გვირაბით, ტუნელიდან. საბჭომ მიიღო წინადადება რომლის თანახმად ქალაქი კისრულობს ტუნელის გაყვანის შემდეგ ქუჩის მოწყობას აბანოებამდე.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ეტაპით ტფ. გუბერნიიდან იგზავნებიან: არისტარხ (იგივე ასალო) ვადაჭკორია, რომელსაც ბრალდება საკანდიტეროებში აგიტაცია, ფაშა იმამ-

## ფელეტონი

### აგრარული საკითხი სახ. სათათბიროში

(შემდეგი *)

გლეხი ტანჯვაში, გაჭირვებას განიცდის, მშიერი კვდება. მერე, ვინ ან რა არის ამისი მიზეზი?—განაგრძო თავისი სიტყვა მშრომელთა ჯგუფის ორატორმა კარავაევმა.—მთავრობას და მემარჯვენეებს რომ ჰკითხოთ, მიზეზი თითონ გლეხია. ზოგი ამათგანი ამბობს, გლეხი ზარმაციაო, ზოგი—მუშაობა არ იცისო, ზოგი კიდე—უფროსებს და პოლიციას აღარ ემორჩილება, იმათ დარიგებას აინუნშიაც აღარ აგდებსო. სულ სხვას ამბობს თითონ გლეხი. იგი გაიძახის: „ჩვენ ღარიბები ვართ, იმიტომ რომ მიწა არა გვაქვს, გადასახადი-კი უთვალავი გვადევს. ღატაკები ვართ, იმიტომ რომ არა გვაქვს არავითარი უფლება და განათლება“.

დიაღ, მიწა არა აქვთ. ან-კი საიდან ექნებათ? აბა ერთი გაიხსენეთ, რა ამბები მოხდა ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს. მარტო შიდა რუსეთში 700,000 შინა ყმა, ბატონის ოჯახში მოსამსახურე ისე „გაანთავისუფლეს“, რომ ერთი ციდა ადგილიც არ მისცეს. ასეთივე ოინი უყვეს იმ 160,000 გლეხს, რომელთაც მცირე ადგილებიან მემამულეებს ეკუთვნოდნენ. გაიხსენეთ ოთხი მილიონი ეგრედ წოდებული „რევიზსკი დუშები“, რომელთაც ძალზე მცირე ნადელი მიიღეს. არც სხვა გლეხებმა მიიღეს მაინც და მაინც ბევრი რამ—სულზე დესეტინის სამი მეათედიდან შვიდ მეათედამდე. ამავე დროს გლეხს დიდ-ძალი თავის დასახსნელი გადასახადი უნდა გაეღო. ის საცოდავი მიწაც, რაც გლეხს აკუთვნეს, ისე დაანაწილეს, ისეთ ადგილებში მისცეს, რომ იგი თითქმის სულ უსარგებლო გაჰხადეს. უმეტეს ნაწილად გლეხს ადგილი მოუჭრეს ოცი და ოცდა ხუთი ვერსის მანძილზე სოფლიდან, მემამულესკი იქვე, გლეხის ქოხის წინ დაუტოვეს ადგილი. ვინ არ იცის ყველა ეს? ნუ თუ მთავრობას და იმის ამყოლ-დამყოლთ დაავიწყდათ გლეხთა არეულობები და ეგზეკუციები, რომელიც „გლეხთა რეფორმას“ მოჰყვა! მაშინ ხომ რევოლიუციონერები არც-კი იყვნენ...

დღეს რუსეთის ბიუჯეტი ორ მილიარდ მანეთს გადასცდა. აქედან ერთ მილიარდს და სამასი ათას მანეთს მიწასთან გასწორებული გლეხობა იხდის არა პირდაპირ გადასახადების სახით. არსად სახელმწიფო გლეხს ისე არ ატყავებს, როგორც რუსეთში. ინგლისი, დანია, ნორვეგია და, ასე გასინჯეთ, გაკოტრებული პორტუგალიაც-კი ორჯელ და სამჯელ ნაკლებს ახდევინებს გლეხს, ვიდრე რუსეთი. განა შესაძლებელია ამისთანა პირობებში გლეხის კეთილ-დღეობა?

მთავრობა და მმართველი კლასები ასე ატყავებენ გლეხებს, ამოდენა გადასახადებს იღებენ, მაგრამ თვით გლეხს-კი არაფერს აძლევენ, არაფერს უბრუნებენ. რა გააკეთეს გლეხებისთვის იმ 45 წლის განმავლობაში, რომელიც ბატონ-ყმობის გადავარდნიდან გავიდა? ყველამ კარგად ვიცით, რომ არაფრისაგან არაფერი.

რა არის საჭირო, რომ გლეხის ოჯახი ამაღლდეს, გლეხის ცხოვრება გაუმჯობესდეს? — ფული, ცოდნა და თვითმოქმედება. ეს არის ეხლა დავინახოთ, სად მიდის გლეხის ფული და მთელი ქონება. მთავრობა და შეძლებული კლასები ისე ატყავებენ, რომ სულით-ხორცამდე აღარაფერს უტოვებენ. მაგალითისთვის საკმაოა ავიღოთ პროცენტები სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკებისა. მაშინ როდესაც სათავად-აზნაურო ბანკში მემამულეებს ახდევინებენ $4^1/_2$ $^0/_0$ ს, საგლეხო ბანკში გლეხებს ახდევინებენ $6^1/_2{}^0/_0$-ს!..

გავიხსენოთ ახლა სწავლა-განათლების საქმე. ვინ არ იცის, რა თვალით უყურებდნენ ამ საქმეს თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და საერობო უფროსები, ესე იგი ისინი, ვის ხელშიც სწავლა-განათლების ბედი იყო. ისინი სავსებით ასრულებდნენ პობედონოსცევის სიტყვებს: „ყველაზე მეტად ხალხის განათლებისა გეშინოდეთო“. შედეგად ასეთ პოლიტიკას ის მოჰყვა, რომ რუსეთის ნახევარმა ანბანაც არ იცის. თვითმოქმედებაზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს. სხვათა შორის საერობო უფროსები იმიტომ გააჩინეს, რომ გაექროთ თვით-მოქმედების სახსენებელი და გაებატონებინათ მემამულეები და სამღვდელოება. გაიხსენეთ კანონები სასოფლო სამეურნეო მუშების შესახებ. ამ კანონების ძალით, მემამულეს შეუძლიან სულ უბრალო რამეზე მიწის მუშა სისხლის სამართალში მისცეს. გლეხს კი უფლება არა აქვს, ხმა ამოიღოს, კრინტი დასძრას მემამულეს წინააღმდეგ, თუმცა ხშირად მემამულე თავის მუშა გლეხს ისეთ საქმელს აძლევს, რომელსაც ძაღლსაც არ აკადრებს.

რუსეთის მთავრობის აგრარულ პოლიტიკას ყოველთვის ერთი აზრი და დანიშნულება ჰქონდა—გლეხის ხარჯით დაეცვა და ამაღლებინა ინტერესები შეძლებულ კლასებისა საზოგადოდ და თავად-აზნაურობისა კერძოდ. ამისთვის არასფერს არ დაერიდნენ: არც გლეხების ქონების განიავებას, არც ათას ჭირის გავრცელებას და არც სიკვდილის გახშირებას.

მაგრამ გლეხობა ცხვრის ფარა როდია, რომ მუდამ მორჩილებასა და მონობაში ყოფილიყო. ისიც მიხვდა, ვინ არის იმისი დამწიოკებელი, იმის უბედურების და ჯოჯოხეთურ ცხოვრების თავი და ბოლო. მთავრობა და მინისტრები მიჰხვდნენ, რომ საქმე ცუდად მიდიოდა, დაფაცურდნენ და სამ თვეში, ვითომ და გლეხობის გასაბედნიერებლად, კანონი კანონზე გამოაცხეს. გამოსცეს კანონები საუფლისწულო, სახაზინო და საკაბინეტო მამულების გაყიდვის შესახებ, სათემო მიწათ-მფლობელობის დაშლის შესახებ, მიწათ-მომწყობ კომისიების შესახებ, საგლეხო ბანკის მიერ მემამულეთა მამულების შესყიდვის შესახებ და სხვა. თერთმეტი თვის განმავლობაში საგლეხო ბანკმა შეისყიდა ორ მილიონ მანეთის მემამულეთა მიწა-წყალი, ესე იგი გააკეთა, ვითომდა გლეხებისათვის, მემამულეებისავე სასარგებლო საქმე.

დღეს მთავრობა და მემამულენი დაჟინებით გაიძახიან, ჩვენ თქვენზე უფრო ვაჩქარებთ აგრარულ საკითხის გაწყვეტას გლეხების სასარგებლოდაო. ასე ამბობენ სიტყვით, საქმით კი სულ სხვას აკეთებენ. საჭიროა ამ გარემოებას თითონ გლეხები ჩაუკვირდნენ. რისთვის გარეკა მთავრობამ პირველი სათათბირო? სწორედ აგრარულ საკითხისთვის.

ზემოდ ჩვენ გამოვიკვლიეთ, რომ გლეხობას ყოველ წელიწადს 800 მილიონი დეფიციტი აქვს, ესე იგი გლეხობამ რომ ცოტათი მაინც კუჭი გაიძღოს, აკლია რვაასი მილიონი მანეთი. როგორ უნდა ეშველოს საქმეს, როგორ უნდა მოეწყოს სოფლის ცხოვრება? ამისთვის ორი გზაა: ან უნდა გლეხის შემოსავალი გადიდდეს, ან ხარჯი შემცირდეს. როგორ შეიძლება გლეხის შემოსავლის გადიდება? შემოსავალს ორი წყარო აქვს—ერთია მიწის დამუშავება, მეორე—ქირა, მემამულის მამულში მუშაობით აღებული. მეცნიერთა გამოკვლევით, ის ქირა, რომელსაც რუსეთის გლეხობა მემამულეებისაგან იღებს, არ აღემატება 250 მილიონ მანეთს. რასაკვირველია, მთავრობის ზოგიერთი მომხრე, მაგალითად მინისტრად ნამყოფი ერმალოვი, ამ რიცხვს აზვიადებს და გაიძახის, რომ გლეხობა ქირით 700 მანეთამდე იღებსო. მაგრამ ეს აზრი პირდაპირ სისულელეა, რადგან 700 მილიონი აღემატება იმ საერთო შემოსავალსაც-კი, რომელსაც მემამულენი თავიანთ მიწა-წყლიდან იღებენ. მაშასადამე, ეს ერთი წყარო შემოსავლისა გლეხობას აძლევს სულ 250 მილიონ მანეთს.

მეორე წყარო—საკუთარ მიწის დამუშავებაა. მთავრობა და იმისი მომხრენი გაიძახიან, გლეხმა უნდა გაანაყოფიეროს სასოფლო მეურნეობა, რომ მეტი შემოსავალი აიღოსო. მაგრამ როგორ უნდა გაანაყოფიეროს, როდესაც გლეხს არ მოეპოვება ის, რაც ამ საქმისთვის უმთავრესია, ესე იგი მიწა? საუკეთესო მეცნიერნი და სწავლულნი იმას ამტკიცებენ, რომ გლეხს სასოფლო მეურნეობის ამაღლება, მუშა საქონლის ჯიშის განკარგება და სამუშაო იარაღის გაუმჯობესება მხოლოდ მაშინ შეუძლიან, როდესაც ექნება საკმაო მიწა, მინიმუმი საჭიროებისა. წესიერ მეურნეობისთვის სულ მცირე ნორმად უნდა ჩაითვალოს ათი დესეტინა მაინც. რუსეთში-კი რასა ვხედავთ? შიდა რუსეთში გლეხობის 23%-ს სულ ხუთი დესეტინა აქვს, 27%-ს—ხუთიდან რვა დესეტინამდე, დანარჩენთ ამაზე ნაკლები.

ამ რიგად, მიწის კულტურის გასაუმჯობესებლად საჭიროა გლეხის მიწა-წყლის გადიდება. ეს-კი შეიძლება ორის გზით:

*) იხ. „ისარი“ № 67

N-68

ოღლი, ისრაფილ ხალილ-ოღლი, მუსტაფა მამად-ოღლი და დოსტუ-ალი-ნაზიოღლი, რომელთაც ჰბრალდებათ საქონლის მოპარვა და მკვლელობანი.

✦ **შავი ქვის მრეწველთა კრება.** ვაჭრობის მინისტრმა ნება დართო მოხდეს შავი ქვის მრეწველთა მეცხრე მორიგი კრება.

✦ 25 მარტს რიყის ქუჩაზე არუთინოვის სახლის ახლო პოლიციელებმა დააპატიმრეს ტფ. მოქალაქენი გიორგი ალენიკოვი და პოლიკარპე დობრჟანსკი, რომელთაც პოლიციის ცნობებით, უნდოდათ თურმე მოეკლათ მეეზოვე არშაკ ხაჩატურიანცი. გაჩხრეკის დროს დობრჟანსკის აღმოსჩენია ბებუთი, რევოლვერი და 7 პატრონა. დაპატიმრებულნი სამხედრო სამართველოში გაგზავნეს.

✦ დიდუბის ტაძრის წინამძღვარი ნ. თალაქვაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: „მ. პ. კარბელაშვილის და მისს მედავითნის ს. გოგიაშვილის საქმის გამოძიება ძალაუნებურად ვიკისრე. ჩემთვის არ მოუნდვიათ ამ საქმის შესახებ თავის აზრის გამოთქმა,— მოვლობილი გვაქვს მხოლოდ მომჩივან-მოპასუხეთა და მათ მოწმეების ჩვენების ჩამორთმევა და სხვა არაფერი. საქმის დასრულებამდის და გარჩევამდის მის შესახებ ასეთი თუ ისეთი მსჯავრის დადება წინსწარია".

## ქუთაისის ქრონიკა

✦ 24 მარტს „კოლხიდის" წიგნის მაღაზიაში მივიდა ბოქაული, ჟანდარმის ვახმისტრი და გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელე. შეუდგნენ წიგნების ჩხრეკას, პატარა ხანს უკან ამათ მიემატა პოლიცმეისტერი და ჟანდარმის როტმისტრი. ჩხრეკამ არა ლეგალური ვერაფერი აღმოაჩინა, თუმცა წიგნების დიდი უმრავლესობა, როგორც თვით მაღაზიის პატრონმა კვიცარიძემ განაცხადა, უცენზუროა. მჩხრეკელებმა პირველად რაც მაღაზიაში წიგნები იყო წაიღეს, მაგრამ მერე გადასწყვიტეს თითო ცალი წაიღონ, რის შემდეგ მაღაზია კვლავ დაბეჭდეს და წავიდნენ. როდის მისცემენ კვიცარიძეს მაღაზიის გაღების ნებას, ჯერ-ჯერობით დანამდვილებით არ იციან.

✦ სოხუმის ქალაქის მდივანი თედო სახოკია, ადმინისტრაციის განკარგულებით, დააპატიმრეს.

✦ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს გადაწყვეტილებით ერთ წევრს საბჭოსას დავალებული ჰქონდა ჭიათურის საავადმყოფოს საქმეთა რევიზია, რომელიც უკვე დამთავრებულია.

## დავით კეზელი

შაბათს, 24 მარტს, ტფილისში გარდაიცვალა დავით ივანეს-ძე კეზელი. ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს ახლად გარდაცვალებულს მწერალს. კეზელმა მე-70 წლებში დაასრულა ტფილისის სემინარია და შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს. იქიდან დაბრუნების შემდეგ შეუდგა ლიტერატურულს მოღვაწეობას და თითქმის განუწყვეტლივ მუშაობდა ამ სარბიელზე, მხოლოდ ეს სამი წელიწადია დაავადმყოფდა და თავი დაანება ლიტერატურულს შრომას.

პირველად კეზელი ქართულ პრესსაში გამოვიდა და უმალვე მიიქცია საზოგადო ყურადღება, როგორც ნიჭიერმა მწერალმა. მალე კეზელი გადავიდა რუსულ გაზეთებში და იმ დროიდან სახელი გაითქვა, როგორც ნიჭიერმა ფელეტონისტმა სადღეისო თემებზე და ადგილობრივ ყამთა სიავეზე. კეზელი მუშაობდა „ნოვ. ობოზრ."-ში (ნიკოლაძის დროს) და „ტიფლ. ლ."-ში, რომლებშიაც დავით სოსლანისა, ზოილისა და ნოვუსის ფელეტონებს ყველანი კითხულობდნენ, თუმცა ბევრნი არ თანაუგრძნობდნენ ზოგ მის შეხედულებასა და აზრს ადგილობრივ საქმეებზე და მოღვაწეებზე.

## ვინა სტყუის?

(თ-დ გ. ამირეჯიბის პასუხის პასუხად).

In omnibus aliquid,
in toto nihil.

ლათინური ანდაზა.

თ-დი ამირეჯიბი მეტად დიდს ბრალსა მდებს. ეს ბრალდება იქამდის საგრძნობელია ჩემთვის, რომ იძულებული გხდები პასუხი გავსცე, თუმცა თ-დ ამირეჯიბის მოხსენების გამო კამათის ატეხა მე სრულიადაც არა მსურდა. ეს ბრალდება გამოიხატება იმაში, რომ მე, ვითომც, დამამახინჯებია თ-დ ამირეჯიბის მოხსენება და ჩვენის მკითხველისთვის მეტად ყალბად გამიცვნია.

რადგანაც შესაძლებელია თ-დ ამირეჯიბის პასუხმა შეცდომაში შეიყვანოს გულ-უბრყვილო მკითხველი, ჩემს თავს მოვალედა ვსთვლი ამ შეცდომისაგან დავიხსნა იგი და დავამტკიცო, რომ, თუ სტყუის ვინმე და სხვის აზრებს ამახინჯებს—ეს ისევ თ-დი ამირეჯიბი ბრძანდება.

თავის პასუხს თ-დი ამირეჯიბი იწყებს განცხადებით, რომ არ. ჯაჯანაშვილი ჩემს მოხსენებას «უთავილოთ და უადგილოთ (?) ეხებაო». გაზეთის ფურცლები რატომ არ არის «ადგილი» ზემოხსენებულ მოხსენების გასარჩევად,—ამის გამოცნობა მკითხველისთვის მიმინდვია, მე კი პირდაპირ პასუხის გარჩევაზე გადავდივარ.

თ-დ ამირეჯიბს თავის მოხსენებიდან მოჰყავს შემდეგი ციტატა:

„...რუსის მთავრობის აზრით, ყველა მიღებულ წყალობისთვის ქართველებმა მხოლოდ დიდი უმადურობა გამოიჩინეს; რუსეთმა საქართველო აუცილებელ დაღუპას გადაარჩინა და მისგან მადლობის მაგიერ რაღაც უსაზღვრო სიძულვილი დაიმსახურა; ქება-დიდების მაგიერ—პროკლამაციები და ყუმბარები მიიღო. კმარა ქართველების ასეთი განებივრება—რუსეთმა აწ ძირითად უნდა შესცვალოს თავ... პოლიტიკა და კავკასიაში სხვა ერებს დაეყრდნოს. ქართველების ასეთი საწინაალმდეგო პოლიტიკის ნიშნები უკვე თვალ-წინ გვიდგია და იგი ახლო მომავალში მრავალ გაუსწორებელ უბედურებას გვიქადის, ქართველებს მრავალ ახალ მსხვერპლის შეწირვას უმზადებს. მის უსამართლო გავლენით დამშვიდების სანეტარო დღე სადღაც შორს, წყვდიადში ჰქრება. ამ პოლიტიკას შეუძლიან რევოლიუციის პირში ჩააგდოს ყველა ქართველი და ჩვენი მრავალ-ტანჯული სამშობლო სისხლის მორევში გადაისროლოს, რადგან ჩვენ ჩვენივე სამშობლოს საზღვრებში უფლება გვაქვს ჩვენი თავი პატრონად დავსახოთ, უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ რუსეთის დამოკიდებულება ჩვენთან აქ მეგობრობისა და **ნდობის***) საფუძველზე აიგოს. ამ ახალ შეცდომებისაგან რუსეთის მთავრობის გაფრთხილება, თანამედროვე მოვლენათა ნამდვილ მიზეზების აღნიშვნა—ქართველების მიზანია, იგი ქართველ ინტელიგენციის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს".

ამ ციტატის შემდეგ თავად ამირეჯიბს მოჰყავს ჩემის წერილიდან ადგილი, რომლითაც მე ვითომც მსურს ზემოთ-მოყვანილი ციტატა განვმარტო. აი, რასა სწერს ამის შესახებ თ-დი ამირეჯიბი:

„ბ. არ. ჯაჯანაშვილი-კი ამ ადგილს შემდეგნაირად განმარტებს: „თ. ამირეჯიბს ძალიან გული ეწვის ქართველ ხალხისთვის, ამასთანავე ძალიან გაკვირვებულია, რომ ყოველთვის მშვიდობიანი და რუსეთის ბიუროკრატიის ვითომცა ყურმოჭრილი ყმა, ქართველი ხალხი, მშვიდობიან პოლიტიკას ასცდა და თავის მხსნელს, ქართველ ხალხის ადამიანურ უფლების გამქელავს ბიუროკრატებს პროკლამაციებითა და ყუმბარებით გაუმასპინძლდა."

გამოდის, თითქოს მე, მართლაც, თ-დ ამირეჯიბისათვის მიმიწერია ის, რასაც იგი მთავრობის შესახებ სწერს, მაგრამ საქმე ასე არ არის. თ. ამირეჯიბის ზემოთმოყვანილ ციტატას მე ისე კი არ განვმარტავ, როგორც ჩემი ოპპონენტი ამბობს, არამედ სწორედ ისე, როგორც მას უწერია. ჩემს წერილში მთავრობის შესახებ ნათქვამია:

„მთავრობა გვეუბნება, თქვენ უმადურება გამოიჩინეთ. იმის მაგიერად რომ ჩვენს მონამორჩილ ყმებად გამხდარიყავით, სარევოლიუციო მოქმედებას დაადექით და ამით დაამტკიცეთ, რომ სრულიად ვერ აფასებთ იმ სიკეთეს, რომელიც რუსეთის ბიუროკრატიამ ქართველ ხალხს მოუტანაო. მთავრობამ დევნა დაგვიწყო, ამბობს თ. ამირეჯიბი, და ჩვენს მოვალეობას ეხლა ის უნდა შეადგენდეს, რომ ეს დევნა მოვსპოთო."

*) ხაზს ყველგან ჩვენ ვუსვამთ.

იმის მაგივრად, რომ თავის ციტატისათვის ჩემი წერილის ეს ადგილი დაეპირისპირებინა და შემდეგ, თუ მათს შორის რაიმე განსხვავება აღმოჩნდებოდა, გამოეაშკარავებინა, თავადმა ამირეჯიბმა თავის ციტატას სრულიად სხვა ადგილი მიაკერა და მერე რიხიანად დაიძახა: «უყურეთ ერთი, არ. ჯაჯანაშვილმა ჩემი მოხსენება როგორ დაამახინჯაო?» რად დასჭირდა თვით თ-დ ამირეჯიბს ჩემი წერილის დამახინჯება?

მკითხველი ნათლად დაინახავდა, რომ მთავრობის შესახებ მეც სწორედ იმასვე ვამბობ, რასაც თვით თ-დი ამირეჯიბი ამბობდა თავის მოხსენებაში. ვნახოთ ეხლა, რას ვამბობ მე თავად ამირეჯიბის შესახებ და, რასაც ვამბობ, მართალია თუ არა. რომ მკითხველისათვის უფრო ნათელი შეიქნეს, ვინა სტყუის ამ კამათში, მე ჩემს თავს ნებას მივცემ და ზევით-მოყვანილ ციტატას ერთხელ კიდევ მოვიყვან. თ-დ ამირეჯიბის შესახებ მე მეწერა:

„თ-დ. ამირეჯიბს ძალიან გული ეწვის ქართველ ხალხისათვის, ამასთანავე ძალიან გაკვირვებულია, რომ ყოველთვის მშვიდობიანი და რუსეთის ბიუროკრატიის ვითომცა ყურმოჭრილი ყმა, ქართველი ხალხი, მშვიდობიან პოლიტიკას ასცდა და თავის მხსნელს, ქართველ ხალხის ადამიანურ უფლების გამქელავს ბიუროკრატებს პროკლამაციებითა და ყუმბარებით გაუმასპინძლდა."

თუ ეს ადგილი დამახინჯებულია, მაშინ თ-დ ამირეჯიბის მოხსენებაში სრულიად წინააღმდეგი აზრები უნდა იყოს გატარებული; მაგალითად, თავად ამირეჯიბს არ უნდა უკვირდეს, რომ ქართველი ხალხი მთავრობის სიმხეცეს რევოლიუციონურის საშუალებით, ე. ი. პროკლამაციებით და ყუმბარებით გაუმასპინძლდა. ნამდვილად კი მოხსენებაში სრულიად სხვაგვარ აზრებს შევხვდებით. აი, რასა სწერს ამის შესახებ თ-დი ამირეჯიბი:

„ლოიალური მორჩილი საქართველო, რომელიც თითქოს, გულ-წრფელად ლოცავდა რუსეთის ბატონობის დამყარებას საქართველოში, **უცბად სრულიად მოულოდნელად** რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში ენერგიულ მონაწილეობას იღებს და სახელმწიფო სათათბიროში მეორეთაც ყველაზე შეურიგებელ, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყველაზე უკიდურეს წარმომადგენლებსა გზავნის. ადვილი გასაგებია რუსეთის საზოგადოების გაკვირვება და სხვა."

რას ამტკიცებს ეს ადგილი მოხსენებისა, თუ არა იმას, რომ «თავადი ამირეჯიბი ძალიან გაკვირვებულია, რომ ქართველი ხალხი მშვიდობიან პოლიტიკას ასცდა და ბიუროკრატებს ყუმბარებითა და პროკლამაციებით გაუმასპინძლდა?

საზოგადოდ, თავად ამირეჯიბს რომ რევოლიუციონური ბრძოლა არაფრად ეპიტნავება, ეს იმის მოხსენებიდან ისე ნათლადა სჩანს, რომ ამის მტკიცება სრულიად მეტად მიმაჩნია. მეც ზემოდ-მოყვანილ ჩემს სიტყვებით ის მინდოდა დამემტკიცებინა, რომ, თუმცა თავადი ამირეჯიბი მთავრობის შესახებ სწერს, ყუმბარებითა და პროკლამაციებით რად გაგვიმასპინძლდა ხალხიო, მაგრამ თითონაც თანაუგრძნობს ამ განცხადებას; თავადი ამირეჯიბი ნათლად და გარკვევით აღიარებს, რომ, როდესაც მთავრობა გვდევნის და ჩვენ უფლებებს ფეხითა სთელავს, როდესაც მას ხალხის ბედიღბალი სრულიადაც არ აინტერესებს, შენ **მშვიდობიანად** უნდა იყო, უნდა აუხსნა მხოლოდ, რაში მდგომარეობს «ხალხის ნამდვილი საჭიროება» და ამ რიგად მგლის თავზე სახარება იკითხოვო.

**არ. ჯაჯანაშვილი.**

(დასასრული იქნება)

## თეატრი და ხელოვნება

—:—

**ჭიათურა.** ჭიათურაში დაარსდა ერთი ჯგუფი, რომელმაც შეადგინა სცენის მოყვარეთა წრე და მართავდა წარმოდგენებს. რათა ჯგუფი მკვიდრ ნიადაგზე დამდგარიყო, მან შეადგინა წესდება და წარადგინა გუბერნატორთან დასამტკიცებლად. რის სიგაგლახით და რამდენიმე დაბრუნება-წარდგენის შემდეგ, მიიღო ჯგუფმა დამტკიცებული წესდება „ჭიათურის ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა". 16 მარტს მოხდა დამფუძნებელთა კრება გამგეობის ამოსარჩევად.

კრება გაიხსნა ი. გ. აბაშიძის თავმჯდომარეობით და ი. გომართელის მდივნობით. კრებას დაესწრო 37 წევრი 66 დამფუძნებელ წევრთაგან.

დამფუძნებელ წევრთა სიის წაკითხვის შემდეგ ზოგიერთებმა განაცხადეს, მიეღოთ წევრები გამგეობის წევრთა არჩევნებამდე, მაგრამ, რადგან ამის უფლებას წესდება არ აძლევდა, მაინც წინადადებას კენჭი უყარეს და კრებამ უარჰყო. ამის გამო ერთმა ჯგუფმა ასტეხა ერთი აურ-ზაური და უკიჟინა დამფუძნებელ წევრთ წესდების კანონიერების დაცვა. ძალიან სურდათ კრების ჩაშლა, მაგრამ ვერ მოახერხეს. შემდეგ მიატოვეს ხმაურობით დარბაზი. ბ-მა ივანე გომართელმა განაცხადა: „მე უსერხულად [illegible] ჩემს თავს აქ, რადგან მეტირე საზოგადოება [illegible]; მას შემდეგ, რაც არ მიიღეს მათი განცხადება, მეც ვანებებ თავს და მივდივარ". მის ნაცვლად კრებამ მდივნად აირჩია [illegible] ტარუაშვილი და შეუდგა საქმეების განხილვას.

კრებამ მოისმინა [illegible] გამგეობის მოხსენება თავის მოქმედების შესახებ; მიიღო გამგეობის მიერ შეძენილი თეატრის მოწყობილება, ღირებული 300 მანეთამდე და აგრეთვე ზარალი ათი თვის განმავლობაში—35 მანეთი (საბჭოს, გარდა თეატრის შენობის დათმობისა უფასოდ, მიუცია ფულად 50 მანეთი).

კრებამ დაასახელა გამგეობის წევრად რამდენიმე პირი, და სხვათა შორის, ი. გ. აბაშიძე, მაგრამ მან უარი განაცხადა. კრებამ კენჭის ყრით ამოირჩია გამგეობის წევრებად: ი. ვარაზაშვილი, გ. ქუმბურიძე, თ. ჯაყელი, მარ. ჩხეიძის ასული, ვ. კიკნაძე, ძ. დეკანოზიშვილი და ს. ტარუაშვილი; სარევიზიო კომისიაში: ფ. დარჩია, ი. აბაშიძე და გ. ნუცუბიძე. ამათ დაავალა კრებამ იაფ-ფასიანი წარმოდგენები დასდგას ხოლმე თვეში არა ნაკლებ ორისა და იშუამდგომლოს ახალ თეატრის შენობისათვის საბჭოს წინაშე და გარდა ამისა ყოველ წლივ ფულად დახმარებისათვის.

18 მარტს ქ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით წარმოადგინეს ჭიათურის თეატრში „ხანუმა", რომელმაც მხიარულად ჩაიარა. **ტ.**

## ღია წერილი

(პასუხად გაზ. «წინ»-ის კორესპონდენტს ბ-ნ ივანიკას)

გაზეთ „წინი-"ს № 19-ში ვიდაც კორესპონდენტი ივანიკა აუწყებს ქვეყანას, ვითომ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საავადმყოფოს გასულ თებერვალში არა ჰქონდა არც კვერცხი, არც რძე და არც ფული და ავადმყოფები მშივრები იხოცებოდნენ და სხვა... სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ივანიკასთანა კორესპონდენტებს ჩვეულებად აქვთ გადაქცეული ყოველივე სიმართლე ბნელით მოიცვან.

ამეებს რომ თავი დავანებოთ და ექიმ დოსაბერიძის დეპეშას ჩაუკვირდეთ, იგი უფრო დაგვისურათხატებს ექიმის დაუკვირვებლად მოქმედებას, ვიდრე კორესპონდენტ ივანიკასას. ექიმი დოსაბერიძე თავის დეპეშაში, რომელიც მან მრეწველთა საბჭოში გაგზავნა, აღნიშნავს ურძეობას, უფულობას და ავადმყოფების შიმშილს. საკვირველია, რად დასჭირდა ექიმ დოსაბერიძეს ასეთის შინაარსის დეპეშის გაგზავნა, როდესაც დასახელებულს საავადმყოფოსაგან გაცემული ორდერები მიუღია საბჭოს კასას თებერვლის თვეში და რომლის რაოდენობა აქვე მომყავს:

| თებერვალი | ორდერები №№ | მანეთი | კ.პ. |
|---|---|---|---|
| 2 | 156 | 30 | 48 |
| „ | 157 | 5 | 30 |
| „ | 161 | 39 | 38 |
| „ | 162 | 9 | 38 |
| „ | 163 | 17 | 02 |
| 20 | 193 | 8 | 14 |
| 26 | 200 | 54 | 30 |
| „ | 201 | 24 | 10 |
| „ | 203 | 5 | 02 |
| 28 | 215 | 84 | 27 |
| „ | 217 | 2 | — |

ჯამი 279—39 კაპ.

ზემო ნაჩვენებ ფულის გარდა დასახელებულს საავადმყოფოს იმავე თებერვალში აქვს საბჭოს კასიდან გატანილი ფული უბრალო კვიტანციებით სხვა და სხვა წვრილმან საჭიროებებისათვის, როგორც არის კვერცხი, რძე კომბოსტო და სხვა.

თებერვალი 1 — 50 მან. — —
„ 2 — 30 „ 50 კ.
„ 4 — 20 „ 50 „
„ 5 — 16 „ 15 „
„ 19 — 10 „ — —
„ 24 — 8 „ — —

სულ 135 მანეთი და 15 კაპ. ეს ფული საავადმყოფომ მიიღო მაშინ, როდესაც კასირს უფლება არა აქვს, საბჭოს არც ერთ დაწესებულებას 25 მანეთზე მეტი გაატანოს, სანამ ამა თუ იმ დაწესებულების გამგე ნაჩვენებ 25 მანეთის ორდერს არ წარმოადგენს კასაში, რომლის შემდეგ კიდევ მიეცემა 25 მანეთი, და ასე უნდა გაგრძელდეს საავადმყოფოსათვის ხარჯების მსვლელობა. როგორც ზემო აღნიშნულ ანგარიშებიდანა სჩანს, თებერვალში საბჭოს კასიდან საავადმყოფოსათვის გაუტანიათ ორდერით და უბრალო კვიტანციებით 414 მანეთი და 54 კაპ. გაუტანიათ ეს მხოლოდ

---

ან გადასახლებით ციმბირსა და საშუალო აზიაში ან კიდევ კერძო მემამულეთა, სახაზინო და სამონასტრო მიწების გადაცემით. გადასახლებაზე ლაპარაკი სულ მეტია. ბევრსა ჰგონია, რომ ციმბირში დიდძალი მიწაა. მიწა-კი ბევრია, მაგრამ, საუკეთესო მეცნიერთა გამოკვლევით, დასამუშავებლად არ ვარგა სულ მცირედის ნაწილის გარდა.

მაშასადამე, დარჩა ერთად-ერთი გზა—კერძო, სახაზინო, საუფლისწულო და სამონასტრო მიწების ჩამორთმევა. მარტო შიდა რუსეთში საჭირო ნორმის შესაქმნელად 70 მილიონი დესეტინაა საჭირო. ეს კი მაშინ მოხერხდება, როდესაც ჩამოერთმევათ მიწა ხაზინას, საუფლისწულო უწყებას, მონასტრებს და მემამულეებს და გადაეცემა გლეხობას. დღეს მემამულეების და საუფლისწულო უწყების მიწებს ყიდულობს საგლეხო ბანკი, რომ მერე გლეხებს მიჰყიდოს. მაგრამ საქმე ისეა მოწყობილი, რომ ბანკი მამულებში ღირებულზე მეტს იხდის, მაშასადამე, მოქმედებს მემამულეთა და საუფლისწულო უწყების სასარგებლოდ და გლეხობის საზარალოდ. აი, მაგალითებიც: გროდნოს გუბერნიაში დესეტინა ღირდა 61 მანეთად, ბანკმა კი 90 მანეთად იყიდა; კურსკის გუბერნიაში ღირდა 149 მანეთად, ბანკმა იყიდა 170 მანეთად, და ასე ყველგან. ერთი მითხარით, რა სარფაა გლეხისთვის ასეთ მამულის ყიდვა? გინდაც რომ იყიდოს გლეხმა ასეთი მიწა, ოთხი ხუთი წლის შემდეგ ისევ გაეყიდება და ისიც დაეკარგება, რასაც ბანკში შეიტანს.

არ შეგვიძლიან აქვე არ შევეხოთ 15 ნოემბრის კანონს, იმ კანონს, რომელსაც მიზნად სათემო მიწათ-მფლობელობის დაშლა აქვს. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ მთავრობა ამ კანონის გამოცემის დროს არა ხელმძღვანელობდა გლეხობის კეთილ-დღეობით. ამ საქმეში პოლიტიკაა გარეული. მთავრობას უნდა შექმნას სოფლად მდიდარ გლეხთა კლასი, რომელიც რეაქციის და ბიუროკრატიის მომხრე-მოსარჩლედ გადაიქცევა. მაგრამ მთავრობას ერთი რამ ავიწყდება, ავიწყდება, რომ მდიდარ გლეხობასთან ერთად გაჩნდება სოფლის პროლეტარიატიც, რომელიც თავზა^ს დასცემს მთავრობასა და იმის მომხრეებს.

მშრომელთა ჯგუფს სათათბიროში შეაქვს პროექტი ძირითად საფუძვლებისა, რომელიც, როგორც მასალა, უნდა გადაეცეს საადგილ-მამულო კომისიას. ჩვენ მიერ წარდგენილი საადგილ-მამულო პროექტი გამომდინარეობს გლეხობის საჭიროებიდან. ჩვენ გვინდა გავამეფოთ სამართლიანი პრინციპი: „მიწა მშრომელს" (ტაში მარცხნივ და ცენტრში).

ამით გაათავა სიტყვა კარავაევმა. ხვალ მკითხველებს წერეთლის სიტყვას გავაცნობთ.

დასასრულ მოგვყავს მშრომელთა ჯგუფისა და გლეხთა კავშირის აგრარულ კანონ-პროექტის ძირითადი საფუძვლები:

1. მთელი მიწა-წყალი და ყველა ის, რაც იმის გულშია დამარხული, უნდა ეკუთვნოდეს მთელ ხალხს; სარგებლობა მიწით შეუძლიან მხოლოდ იმას, ვინც თითონ ამუშავებს მას;

2. ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფო, საუფლისწულო, საკაბინეტო, საეკლესიო, სამონასტრო და ისეთ კერძო მამულებისაგან, რომელიც შრომის ნორმას აღემატება, უნდა შესდგეს ფონდი;

3. კერძო მემამულეებისაგან მიწები სახელმწიფომ უნდა გამოისყიდოს;

4. გაყიდვა, დაგირავება, ან ჩუქება მიწებისა დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს;

5. მიწების დანაწილება შრომის ნორმის დაგვარად უნდა მოხდეს; უპირატესობა უნდა მიეცეს ადგილობრივ ელემენტს და მიწის მუშას, წინააღმდეგ მოსულისა და არა მიწის მუშისა;

6. გადასახლებ-გადმოსახლება, თუ საჭირო აღმოჩნდება, სახელმწიფოს ხარჯით უნდა სწარმოებდეს;

7. ისეთს პირებს, რომელთაც მეურნეობის მოსაწყობად საღსარი არა აქვთ, სახელმწიფომ დახმარება უნდა აღმოუჩინოს;

8 საერო მიწის ფონდის გამგებლობა უნდა ჩაჰბარდეს ადგილობრივ თვით-მმართველობას, რომელიც საყოველთაო, პირდაპირ და სხვა საარჩევნო უფლებით უნდა იქმნას მოწვეული.

ამის შემდეგ კანონ-პროექტში არის კიდევ რამდენიმე მუხლი, რომელიც ადგილობრივ სამიწად-მოქმედო კომიტეტების დაარსებას შეეხება. ეს კომიტეტები შემდეგს საფუძვლებზე უნდა იქნან დამყარებული: კომიტეტები უნდა იყოს საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო. არჩევნები ამ კომიტეტებში უნდა მოხდეს საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და დახურულ კენჭის ყრით.

კომიტეტები ვალდებულნი იქნებიან:

ა) მთელის ხალხის თანადასწრებით თავისუფლად და ფართოდ განიხილონ სამიწად-მოქმედო კანონ-პროექტის ყველა წვრილმანი;

ბ) გამოარკვიონ, რამდენი მიწა არის ამა თუ იმ ადგილას და რამდენი მცხოვრები; რეფორმის განსახორციელებლად ადგილობრივ პირობების შესაფერი გეგმა წარმოადგინონ;

გ) რეფორმის განხორციელებამდე მოაწესრიგონ საიჯარო ურთიერთობა, სამუშაო ქირა, სამუშაო დღე და სხვა და სხვა ურთიერთობა მიწის პატრონსა და დამმუშავებელს შორის.

წვრილმან ხარჯებისათვის, რომელშიაც არ შედის ბური და ხორცი და სხვა მსხვილი ხარჯები. და ექიმი ლოსაბერიძე კი დებეშას იძლევა საბჭოში: არაფერი არ მოგვეძევება და ავადმყოფები მშივრები იხოცებიანო. ნუ თუ ამისათვის დაგჭირდა „კორესპონდენტი ივანიკა“?

როგორც აღვნიშნე, საავადმყოფოსათვის ფული არ დაგვიკავებია. პირიქით უფლებასაც გადავაჭარბე, როდესაც საბჭოს გადაწყვეტილება ასეთია—(10 ივნისი 1904 წ. № 128): 25 მან. მეტი არ მიეცემა არც ერთ დაწესებულებასაო.

შავი ქვის მრეწველთა საბჭოს კასირი
**გ. ნანეიშვილი.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)
27 მარტი.

**პარიჟი.** გავრში მატროსთა და ნავთ-სადგურზე მომუშავეთა შორის დიდი მღელვარებაა. ტურკუენსა და რუბეში გაიფიცნენ საელექტრონო სადგურის მუშები.

**ვენა.** მეპურეთა გაფიცვა გათავდა. ფურნის პატრონებმა თანხმობა გამოუცხადეს ახალ ტარიფზე.

**მინსკი.** ხე-ტყის მრეწველს ბამბის მძარცველები შეუვარდნენ და 200 მანეთი მოსთხოვეს. ბამბის დამბლა მოუვიდა და იქვე სული ვანუტევა. მძარცველები მიიმალნენ.

**არხანგელსკი.** ტყის-მწარმოებელთა კავშირმა თავისს საკუთარ თანხიდან აუნაზღაურა ზარალი ოთხ ქარხანას, რაც მათ მუშების გაფიცვამ მიაყენა.

**ლოძი.** ქალაქში პარტიულ ნიადაგზე მოჰკლეს რამდენიმე მუშა და ერთი ქალი, რამდენიმეც სასიკვდილოდ დასჭრეს. ბევრი საავადმყოფოში კვდება. დღემდის პოზნანსკის ქარხანაში ჩაეწერა 3965 მუშა.

**ვილნო.** კონოვიჩის ფოტოგრაფიაში ყუმბარა შეაგდეს. კარ-ფანჯრები დაზიანდა. არავინ დაშავებულა. მიზეზი დათხოვნილ მოსამსახურის შურის-ძიებაა.

**ხარბინი.** დაიწვა ქალაქის განაპირა ნაწილი, სადაც ჩინელების სავაჭრო ადგილი იყო. ზარალი 4 მილიონამდეა.

**მინსკი.** ლიუბლინში დაიჭირეს თვალსაჩინო რევოლიუციონერი კონსტანტინე საპეჟკო, ხელობით მებაღე. მას ქაღალდები უპოვნეს, საიდანაც სჩანს, რომ შემდგარა ახალი სარევოლიუციო ორგანიზაცია, სახელად «სხივი და განთიათი». პოლიცია დიდ ფაცა-ფუცშია.

**პეტერბურგი.** ეკატერინოსლავში ბაღში ნახეს მოკლული 16 წლის გიმნაზიელი ჩერნიკოვი.—სევასტოპოლის მახლობლად სლაბოდაში ხუთი გატენილი ყუმბარა იპოვნეს: ერთი ვიღაც ტიუტინოვის ქალის სახლში, ოთხი სახლის ახლო ბინაში. დამნაშავე დააპატიმრეს.

**ეკატერინოსლავი.** დილის 9 საათზე მოჰკლეს ბრიანსკის ქარხნის დირექტორის თანაშემწე ინჟენერი მილოვი. მილოვს ბოლო დროს მუქარის წერილები მისდიოდა და ამიტომ ფრთხილად იქცეოდა, ტანზედ ჩაჩქანი ეცვა და მუდამ მცველი დაჰყვებოდა. ტყვია მილოვს შუბლში მოარტყეს. მძიმედ დაიჭრა მისი მცველიც.

**ნიუ-იორკი.** მექსიკიდან იუწყებიან, რომ დეპუტატთა პალატაში მოჰკლეს გვატემალის პრეზიდენტად ნამყოფ ბარილასო. მკვლელი გვატემალელი კაცია.

**პეტერბურგი.** ამ დღეებში მინისტრთა საბჭოში განიხილავენ საერო განათლების სამინისტროს პროექტს ახალ უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. სამინისტრო ქალაქებიდან პირველ ადგილზე ვორონეჟს აყენებს, შემდეგ სარატოვს და ნიჟნი-ნოვგოროდს.

რედაქტორ-გამომცემელი
**ივ.* ი. მჭედლიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი

### მატარებლების მიმოსვლა
(ზამთრის წესით)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისის)

ტფილისიდან მიდის

**I. ბაქოს**: 1) ექსპრესი მოსკოვამდე, ნაშუადღევის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საფოსტო დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.); 3) სამგზავრო, საღამოს 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.); 4) სამგზავრო და საქონლის, ღამის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

**II. ბათუმს**: 1) საფოსტო, ნაშუადღევის 12 ს. 26 წ. (1 ს. 24 წ.); 2) სამგზავრო, საღამოს 7 ს. 7 წ. (8 ს. 5 წ.); 3) ჩქარი, საღამოს 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.).

**III. ერევანს**: 1) საფოსტო, ღამის 11 ს. 42 წ. (12 ს. 40 წ.); სამგზ. და საქონლის, ნაშუადღევის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ბათუმიდან მიდის

**ტფილის-ბაქოსაკენ**: 1) საფოსტო, ღამის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 2) სამგზავრო, საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.); 3) საჩქარო (მარტო ტფილისამდე), დილის 9 ს. 15 წ. (10 ს. 13 წ.).

ბაქოდან მიდის

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) ექსპრესი მოსკოვიდან, (მარტო ტფილისამდე), ღამის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.); 2) საფოსტო, ნაშუადღევის 4 ს. 50 წ. (5 ს. 48 წ.); 3) სამგზავრო, ნაშუადღევის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 4) სამგზავრო და საქონლის, ღამის 4 ს. 3 წ. (5 ს. 1 წ.).


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
**დოქ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**ღ ა ლ ა თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
**გ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.
**მ. გ. ავეტისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**გ. ი. გელაშვილი**: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ა. ბ. გარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.
**ა. ი. შჩერბინინა**: 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
**გ. ი. გურგენოვი**; 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**
(150—ხალ.—52)

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.** თანახმად 1895 წლის 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს აზრისა შესახებ იმ ფულების დაბრუნებისა, რომელიც ყოფილ დამფუძნებლებმა შეიტანეს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დასაარსებლად და ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ (1900 წ. 8 მაისი) წესების მეშვიდე მუხლის ძალით ამით ცხადდება, რომ ის პირი, რომლის ხელშიაც გადავიდა **პაატა იოსების ძის მგალობლიშვილის** კვიტინცია ბანკის დასაარსებლად შეტანილ ხუთას ორმოცდაათ მანეთისა (550 მ.), ვალდებულია წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დღიდან; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამუდამოდ ჰკარგავს ამ ფულის მიღების უფლებას და პაატა იოსების ძის მგალობლიშვილის მემკვიდრეების სასარგებლოდ შეირიცხება. (3—6.—2)

**მეჩექმეთა ამხანაგობამ**
**„ნდობამ“**
დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება**, სადაც მოიპოვება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და შკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ რომ ყოველ აღებულ საქმესპირნათლად გაუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბუღდანოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.
გამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი.**
(20—569—20)

**ქუთაისში**
**კიწმარიშვილის და ამხ.**
**თესლეულობის კანტორამ**
მიიღო დიდ-ძალი იონჯის, კოინდრის, სამყურის, პურის, ეკლის ხის, ბელის და ყოველგვარ ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობა. პრეისკურანტები ყველას უფასოდ. (30—ფ.—9)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**
**გაიხსნა საწყობი ნამდვილი**
**ყიფიანის ღვინისა**
ქაიხოსრო ოტიას ძე ყიფიანის საკუთარი ვენახებიდან. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენია.
ქუთაისი, ვ. ჭილაძის შენობაში სობოროს პირდაპირ, „კომერციულ“ სტამბის გვერდით. (15—კვ.—10)

**მკითხველ მგზავრთა საყურადღებოდ**
სადგურ მიხაილოვის ბილეთების კასსირ ჩარხიშვილთან იყიდება სრული 1906 წლის ყოველკვირეული და ყოველ დღიური გაზეთი **«ივერია»** ყდებით. და ქართული წიგნები: **„ცხოვრება და სიყვარული“**, თანამედროვე რომანი 400 გვ. ორი აბაზი; **«ვარინკას ამბავი»**, მოთხრობა 150 გვ. ერთი აბაზი და **ლექსები** 100 გვ. სამი შაური. შეიძლება ფასდადებითაც და მარკებითაც.
მისამართი: **ст. Михайлово Георгію Чархишвили.** (3—6.—2)

პირველ მარტიდან უკვე მიიღება ხელის მოწერა
**ო ს უ რ გ ა ზ ე თ ზ ე**
**„ნაუაგ ცარდ“**
(ახალი ცხოვრება)
რომელიც კვირაში ორჯელ გამოვა.
**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით | 4 მან. | სამი თვით | 1 მ. |
| ნახევარი წლ. | 2 მ. | ერთი თვით | 50 კ. |

წლიური ხელის მომწერნი წლის დამლევს უფასოდ მიიღებენ ოსს მწერალთა ერთ-ერთ ნაწარმოებს.
ადრესი: ტფილისი, ორბელიანის ქუჩა, № 36.
რედაქტორ-გამომცემელი **პ. თედეევი.**

**საზოგადოების**
**საყურადღებოდ**
**ვისაც უნდა** დააწერინოს არზა, თხოვნა, საჩივარი სასამართლოებში მისართმევად, შვილების სახელმწიფო ხარჯზე სკოლებში მისაღებად; **ვისაც უნდა** სალდათობის საქმეზედ თხოვნის შედგენა; **ვისაც უნდა** საჩივარი ან თხოვნა მისცეს ნამესტნიკს, გუბერნატორს; **ვისაც უნდა** თხოვნა მიართვას ხელმწიფეს ანუ მინისტრებს, **ვისაც უნდა გაეყაროს მეუღლეს—იმათ უნდა მიმართონ** ავლაბარში, ნუხისა და შემახის ქუჩების კუთხეში, საკუთარ სახლში **თ. ზ. ნასიძეს.**
მთხოვნელები მიიღებიან დილით 10—12 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე.
**ხელფასი ზომიერია.** (3—უ.—3)

**გამოვიდა და იყიდება**
ახალი წიგნი
Baton-ისა
„სახელმწიფო ძალის ხელში ჩავდება და სოციალური რევოლიუცია“
მალე გამოვა იმავე ავტორის
„მუშათა მოძრაობა საფრანგეთში დიდ რევოლიუციამდე (1789 წ.)“

**გამოცემანი:**
**„გუთნისა“.**

| | |
|---|---|
| **გლეხთა საკითხი საფრანგეთში**, ს. ანსკისა | 7 კაპ. |
| **ეროვნული საკითხი**, შალვა ნათაძისა, | 3 კაპ |
| **ახალი ქადაგება**, | 3 კაპ. |
| **საფრანგეთის დიდი რევოლიუცია**, ვლ. ლორთქიფანიძისა | 15 კაპ. |
| **მიწა მიწის მუშას!** | 5 კაპ. |
| **გზა სოციალიზმისკენ**, პ. სორსკისა. | 5 კაპ. |
| **თამეურნეო ცხოვრების განვითარება**, ე. ბერნშტეინისა | 20 კაპ. |
| **აგრარული პროგრამები**, თ. სიბირსკისა | 8 კაპ. |

ყველა ამ წიგნების ყიდვა შეიძლება:
1) **ტფილისში**—საზოგ. „კახეთი“, გიორგი ქონიაშვილთან.
2) **გორში**—ვანო ჩაჩანიძესთან, სობორის ქუჩა,
3) **ახალქალაქში**—(გორის მაზრა)—ვიქტორ მღივანთან.
4) **ცხინვალში**—ნიკო კასრაძესთან.
5) **საგარეჯოში**—იოსებ ქურდოვანიძესთან.
6) **ქუთაისში**—დავ. ს. ღულაძესთან, მესხეთის ქუჩა.
7) **ბათომში**—პ. გ. გამყრელიძესთან, ქალაქის გამგეობა.
8) **ფოთში**—მიხ. ივ. ჩხენკელთან.
9) **ოზურგეთში**—ივლიანე ჯაყელთან.
10) **ჭიათურაში**—მ. მ. სიხარულიძესთან.
11) **ყვირილაში**—ქორონის წიგნის მაღაზიაში.
12) **სამტრედიაში**—კალაძის წიგნის მაღაზიაში.
13) **ხონში**—მოსიკო ჭელიძესთან.
14) **ბაღდადში**—ათანასე მიქაძესთან, სადგურის ბუდკაში.
15) **ბაქოში**—გ. კვალიაშვილთან.
აგრეთვე ყველა წიგნის მაღაზიებში.
ამხანაგობა ხელ-ნაწერების ავტორებსა სთხოვს, შეგვატყობინონ ხოლმე თავიანთი პირობებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწარმოები უჰონორაროდ ჩაითვლება.

**ნამდვილი კახური ღვინო**


**ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი.** (100—42)

**კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრეისერის**
**გადვიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნურ კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო ოპერაციებსაც აკეთებენ. (100—96)

მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.
**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**
წელიწადი **ნაკადული** მესამე
1097 **წლის** 1 **იანვრიდან** 1908 **წლის** 1 **იანვრამდის წლიურ ხელის-მომწერლებს მიეცემა:**
**24** წიგნი, ჟურნალი „ნაკადული“ **მცირეწლოვანთათვის** **12** წიგნი, ჟურნალი „ნაკადული“ **მოზრდილთათვის**
დასურათებული წიგნები წლიურ ხელის-მომწერთა საჩუქრად არა ნაკლებ ასის გვერდისა თითო. პირველად მიიღებენ გრიმის ზღაპრებს.
წლიური ფასი ორივე გამოცემისა დამატებებით, ე. ი. 39 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი, ნახევარის წლით 2 მან. 50 კაპ., ცალკე პატარებისათვის 24 წიგნი—3 მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მანეთი. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. თითო ნომერი ჟურნალისა პატარებისათვის ეღირება 15 კაპ., მოზრდილთათვის—25 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ვთხოვთ ხელის-მომწერლებს ადრესი გარკვევით დასწერონ, დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.
**ხელის მოწერა მიიღება:**
1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალაშვილის სახ., № 8 ყოველ დღე 9—2 საათამდე, სამშაბათობით საღამოთიც; 2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურ.; 3. წიგნის მაღაზია „Новая Рѣчь“-ში, გოლოვინის პროს.; 4. წიგნის მაღაზია „Образованіе“-ში, მიხაილოვის ქუჩა; 5. **ქუთაისი**, წიგნის მაღაზია „კოლხიდაში“; 6. **ბაქო,** ანა გრიგორის ასულ ჟვანიასთან და ნინო ქაიხოსროს ასულ დეკანოზიშვილთან; 7. **ბათუმი**, მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, კნეინა სოფიო ნაკაშიძესთან და „Черноморскія Новости“-ს რედაქციაში; 8. **ყვირილა**, წიგნის მაღაზია „ივერიაში“; 9. **ოზურგეთი**, წიგნის მაღაზია „იმედში“; 10. **თელავი**, საზოგადო ბიბლიოთეკაში, ბ. გოშაძესთან: 11. **ელისავეტპოლი**, ბ. კონსტანტინე ოდიშარიასთან; 12. **ახალციხე**, სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორ ბ. ქიქოძესთან.
რედაქტორი: **მ. ი. დემურია.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**


**ანგარიშთა მდგომარეობა**
ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.
**1 იანვარს 1907 წელს.**

აქტივი (აქვს).

| | | მან. | კ. |
|---|---|---|---|
| I. კასსა, ნაღდი ფული | | 9162 | — |
| II. სახელდახელო ანგარიში ქუთ. გან. აზ. დ. კ ბანკში. | | 4407 | 62 |
| III. სარგებლ. ქაღალ. ა) სათადარიგო თანხ. ანგირ. მ. | 304,75 | | |
| ბ) საზოგ. ანგარ. „ | 710,35 | 1015 | 09 |
| IV. განაღდება თამასუქებისა, არა ნაკლებ ორის ხელის მოწერით | | 41229 | 43 |
| V. განაღდება სარგ. ქაღალდ. კუპონ. და სხვა | | 769 | 07 |
| VI. პროტ. წასული თამასუქ. (უზრუნ. ყოფ. თანხ. ირ. გ. პას.) | | 5119 | 23 |
| VII. სესხი გაც. გირავ. ა) სარგ. ქაღ. უზრ. ყოფ. სარ. „ | 160,— | | |
| ბ) სარგ. ქაღ. არა უზრ. ყოფ. მთავ. მიერ. „ | 10563,78 | | |
| გ) შავ. ქვაზ. „ | 19695,63 | 30419 | 41 |
| VIII. კორესპონდენტ. ა) იმათ. ანგ. მ | 468,98 | | |
| ბ) საზოგ. „ „ | 262,92 | 731 | 90 |
| XI. გერბ. ქაღ. და თამ. | | 178 | 80 |
| X. გარდამავ. თანხა. | | 821 | 90 |
| XI. მოწყობა-გამართვა საზოგად. | | 1895 | 43 |
| XII. მოვალ. საზოგ. | | 409 | 67 |
| XIII. ხარჯი დასაბრ. | | 71 | 14 |
| XIV. ზარალი 4905 წ. | | 318 | 74 |
| **ბალანსი.** | | 96549 | 43 |

(მართებს) პასსივი.

| | | მან. | კ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რაიცა შესდგება 10% შემ. საწ. ფულით 213 წევრთა მიერ, მიცემულ ვალდებ. რაოდ. საზ. წინაშე. | | 19330 | — |
| II. დასაბრ საწევრო ფული, თანახმად §§ 12 და 14 წეს. საზოგ. | | 35 | 85 |
| III. თანხა: ა) სათადარიგო მ. | 385,66 | | |
| ბ) ამორტიზაც. „ | 769,53 | 6274 | 42 |
| გ) პროტ. წას. თამასუქების უზრ. საყ., შემდგ. 1906 წ. მოგებიდ. „ | 5119,23 | | |
| IV. შემოტ. ფული: ა) სახელდ. ანგ. მ. | 25318,01 | | |
| ბ) ვადით. „ | 17398,31 | 43416 | 32 |
| გ) უვადოთ „ | 700,— | | |
| V. განაღდ. თამას. საზოგ. მიერ ქუთ. გაწყ. აზ. დ. კ. ბანკში. | | 4618 | 64 |
| VI. საგანგებო სახელ. ანგარ. უზრუნვ. ყოფილი სარგებ. ქაღალდ. | | 344 | 26 |
| VII. სესხი აღებ. საზ. მიერ შავი ქვის გირავნობით | | 10000 | — |
| VIII. კორესპონდენტ. ა) იმათის ანგ. (Loro) „ | 3233,32 | | |
| ბ საზგ. ანგარ. (Nostro) „ | 2101,67 | 5334 | 99 |
| IX. გადასაგზ. შემოტ. ფული | | — | — |
| X. გარდამავ. თანხა. | | 6434 | 04 |
| XI. სარგებლი გარდ. | | 342 | 51 |
| XII. 5% სახელ. გარ. | | 51 | 66 |
| XIII. წმინდა მოგება. | | 366 | 74 |
| **ბალანსი.** | | 96549 | 43 |

თავმჯდომარე გამგეობისა **თავ. ი. გ. აბაშიძე.**
ბუჰგალტერი **სოფ. ტარუაშვილი.**
დირექტორები: **თ. ვ. ჯაყელი. ა. გ. გალუსტოვი**

სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ., № 6.